ხელშეკრულება № 32

ქ. თბილისი 18 აპრილი 2017 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო (შემდგომში - „შემსყიდველი") მისი აპარატის უფროსის რევაზ გერგედავას სახით და მეორე მხრივ შპს „სი-ტი პარკ"-ი (შემდგომში - „მიმწოდებელი") მისი გენერალური მენეჯერის ბინიამინ ლაჰავ სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ედებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის:

1) KIA Sorento AB-050-BA,
2) FORD Focus CC-049-GG.

ერთწლიანი პარკირების (ავტოსადგომების მომსახურებები cpv კოდი: 63712400) საფასურის გადახდა და შესაბამისად პარკირების სისტემაში გააქტიურება.

2. შესასყიდი მომსახურების რაოდენობა და ფასი

- პარკირების მომსახურების შესყიდვა ხორციელდება 2 (ორი) ავტომანქანაზე. ერთი ავტომანქანის ერთწლიანი პარკირების საფასური შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.
- ხელშეკრულების საერთო თანხა შეადგენს 100 (ასი) ლარს.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურება ქ. თბილისის მასშტაბით (პარკირების სისტემაში გააქტიურება) განხორციელდება „მიმწოდებლის" ანგარიშზე თანხის ჩარიცხვიდან შემდეგი ერთი წლის შესაბამის კალენდარულ დღემდე.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურებისათვის ფორმდება შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1. მომსახურების ხარჯების ანაზღაურება მოხდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ვალუტით, უნაღდო ანგარიშსწორებით „მიმწოდებლის" მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ფასების შესაბამისად.

4.2. ანგარიშსწორება განორციელდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

5. ცვლილებები

5.1. ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის". ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლის თანახმად.

5.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას საყოველთაოდ აღიარებული ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.

6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს აპარატის უფროსის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი: ჯ. ლეთოდიანი, ა. გუნჯუა, ზ. გახარია.

8. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

8.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებსა და მათ წარმომადგენლებზე.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად (ერთი – „შემსყიდველს", ერთი – „მიმწოდებელს").

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ჯეროვნად ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით – ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება მოქმედებს მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

11. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო
საიდენტიფიკაციო კოდი 249250484
ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას №16
ტელ: 237 44 16
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ხაზინის ერთიანი ანგარიში

აპარატის უფროსი
რ. ბერბიჭაშვილი

„მიმწოდებელი"

შპს „სი-ტი პარკ"
საიდენტიფიკაციო კოდი 204543770
ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. №47
ტელ: 224 44 41
ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა" ც/ფ
ბანკის კოდი: REPLGE22
ანგარიშის №GE90 BR00000 106 086 189 45

გენერალური მენეჯერი
ბ. ლაპავა